ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N75

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "დეგაპრინტი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა სოხაძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 700 ცალი სავიზიტო ბარათის დამზადების მომსახურების შესყიდვა. (CPV კოდი: 30199730) შემდგომში – „მომსახურება".
1.3. სავიზიტო ბარათების დიზაინის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 140 ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ერთეულის ღირებულებაა 0,2 ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების სრულად გაწევის შემდგომ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი სასაქონლო-ზედდებულით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედდებულზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" თანამშრომელი - სოფიო დუღაშვილი.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. N16
5.2. მომსახურების გაწევისა ვადაა შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი ვალდებული"

6.1.1. დროულად განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

6.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.1.3. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების სრულ რეალიზაციაში.

6.2. „მიმწოდებელი ვალდებულია“

6.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსახურების მიწოდება შემსყიდველისათვის შეუფერხებლად და ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

6.2.2. ბეჭდვითი მომსახურების გაწევისას გამოიყენოს წინასწარ შეთანხმებული ხარისხის მასალა და სრულიად იყოს პასუხისმგებელი მის ვარგისიანობაზე;

6.2.3. მზა სარეკლამო მასალა მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;

6.2.4. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.3. „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“

6.3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.3.2. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 15 ოქტომბრამდე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებისათვის.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 6.2.2. პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს ნაკლი საკუთარი ხარჯებით ან აუნაზღაუროს შემსყიდველს დამდგარი შედეგით გამოწვეული ფაქტობრივი ზიანი.

9.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სარეკლამო მასალის ხარისხზე, ესთეტიურ მხარეზე, მის შესაბამისობაზე დიზაინთან და აცხადებს, რომ ნაბეჭდი მასალა არ გახუნდება, არ დაზიანდება ნორმალური ცვეთის პირობებში და იქნება გამოსადეგი შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს".

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34
ს/კ 204568208
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"

შპს "დეგაპრინტი"
მის: ქ. თბილისი, ვირსალაძის ქ. N8
ს/კ 204444477
ბანკი: სს "თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE41TB0660000101467543

დირექტორი
ლაშა სოხაძე